ხვალ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულია! გიხაროდენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

17 აპრილი, შაბათი, 1993 წ.
№ 27 (10 815) ● ფასი 5 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

აგასი და მისი გუნდი

იხ. მე-4 გვ.



საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიაში

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის მუდმივ კომისიაში გრძელდება კანონპროექტების შემუშავებაზე მუშაობა. საქმეში ახლა აქტიურად ჩაერთო კომისიასთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, კომისიის სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა და მისი თავმჯდომარე ბ. ხურციძე უძღვებოდა, იმსჯელეს ტურიზმის კანონპროექტის შესახებ. წამყვანმა სპეციალისტმა ჯ. მარღანიამ განმარტა კომისიისა და საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი მუშაობის პრინციპები, შეკრებილთ დაურიგდათ ტურიზმის კანონპროექტი, მაგრამ მის ირგვლივ დაწვრილებით არ უმსჯელიათ — ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ო. სიამაშვილის წინადადებით პროექტს დამოუკიდებლად, გულდადინჯებით შეისწავლიან და უახლოეს სხდომაზე წარმოადგენენ თავიანთ შენიშვნებს.

სამწუხაროა, რომ მიწვევის მიუხედავად, სხდომას არ ესწრებოდნენ კერძო კომერციული ტურისტული სტრუქტურების წარმომადგენლები. არადა, ამ სფეროს ინტერესების გათვალისწინება აუცილებელია კანონში. იქნებ ამის შემდეგ მაინც მათ თავად შეარჩიონ რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც კერძო სექტორის ინტერესებს დაიცავენ კანონპროექტის შემუშავებისას.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ტურიზმის ქარტიისა და ტურისტის კოდექსის საერთაშორისო დოკუმენტების აღიარების საკითხი. რაზეც საბოლოო გადაწყვეტილებას ხელისუფლება მიიღებს.

სხდომის შედეგები შეაჯამა სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ხურციძემ.

ნაკრები ესპანეთს ემგზავრება

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ორშაბათს, 19 აპრილს ესპანეთში მიემგზავრება. დაგეგმილია 5 ამხანაგური მატჩი ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან, მათ შორის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზეებთანაც.

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ დაასახელა 18 ფეხბურთელი, რომლებიც გასამგზავრებლად ემზადებიან:

მეკარეები — დევაძე („შევარდენი-1906"), ზოიძე („დინამო").

მცველები — ბერაძე, შელია, ინალიშვილი, ჯამარაული („დინამო"), ლობჟანიძე („გორდა"), სიდამონიძე („მრეტები"), გუჯაბიძე („ალაზანი").

შუა ხაზისა და თავდასხმის მოთამაშეები — ყაველაშვილი, ანჩაბაძე, ქინქლაძე, რ. ა. და შ. არველაძეები („დინამო"), ნემსაძე, ყიზილაშვილი („შევარდენი-1906"), მ. ჯიშკარიანი („ცხუმი").

ჰასან ონიკაშვილი—ფერეიდნელი ათლეტი

წერილი რედაქციას

ამას წინათ ირანში სამსახურებრივი მივლინებისას გავიცანი ფერეიდნელი ქართველი, ტაეკვანდოში ირანის ნაკრების წევრი ჰასან ასლანი (ონიკაშვილი), რომელიც ამჟამად თავის ოჯახთან ერთად თეირანში ცხოვრობს. ჰასანი ზედმიწევნით მოკრძალებული ადამიანი და ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა. ლაპარაკობს იქაურ კილოზე, მაგრამ საკმაოდ გასაგებად.

ჩვენ ერთმანეთს შევხვდით მისსავე ოჯახში მშობლებისა და დაძმების გარემოცვაში. გაცნობაში დამეხმარა მამამისის ძეიდაშვილი, ისიც წარმოშობით ფერეიდნელი ქართველი, ამჟამად თბილისში მცხოვრები რეზა მიქელაძე.

როცა ჰასანმა შეიტყო, რომ ჩვენ მისი სპორტული ბიოგრაფიაც გვაინტერესებდა, თავმდაბლად მოგვითხრო ყველაფერი. ვარჯიში 12 წლის ასაკში დაუწყია. მუყაითი შრომით (დღეს იგი 25 წლისაა, სიმაღლე 192 სმ) მიაღწია ირანის ჩემპიონობას. მეტიც, იგი ქვეყნის ნაკრების ლიდერია 90 კგ. წონით კატეგორიაში (ეს უმაღლესი წონაა ტაეკვანდოში). მისი ბოლო მიღწევები ასეთია: II ადგილი 1992 წლის იანვარი, ქ. კუალალამპური (მალაიზია) აზიის ღია ჩემპიონატზე (დიდი წვლილი შეიტანა ირანის ნაკრების მიერ გუნდური III ადგილის მოპოვებაში); იმავე წლის სექტემბერი, თეირანი, შეიარაღებული ძალების გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი, ირანის გუნდი I ადგილზე გავიდა, ჰასანი ფინალში ამარცხებს გერმანიის ჩემპიონს.

ვნახეთ ამ შესანიშნავი ათლეტის წარმატებების ამსახველი ვიდეოფირი, სიგელები და მედლები.

ალბათ დადგება დრო და ჰასან ონიკაშვილს ქართული სპორტის გულშემატკივრებიც იხილავენ.

თეიმურაზ ფაცურია

სურათზე: მარცხნივ — გამარჯვებულად ცხადდება ჰასან ასლანი (ონიკაშვილი).

მილოცვა

გაზეთ „ლელოს" რედაქცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს გამოჩენილ ქართველ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს, ეროვნული სპორტის გულმხურვალე ქომაგსა და მეხოტბეს, ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს ბატონ **ტარიელ ჭანტურიას**.

• • •

მას უყვარს თბილისი და იგი უყვართ თბილისელებს, მოწიწებით მიაგებენ პატივს მეგობრები და ნაცნობები საუკეთესო პიროვნული ღირსებებისთვის. ბატონი რობერტ მელქაძე 60 წლისა გამხდარა.



ვეტერან მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაცია „რინგი" თავისი ამქრის გამორჩეულ წარმომადგენელს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს, კრივის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის წევრს გულწრფელად ულოცავს საიუბილეო თარიღს.

კვლავაც შემართულად, ბატონო რობერტ!

ვეტერან მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაცია „რინგი".

ცნობა ლიუცერნიდან

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, ლიუცერნში, საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა თბილისელებს თამაზ ტაბატაძესა და გია ბაღათუროვს.

ხსოვნა

სერგო ჯაიანი! 50-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე, შემდგომში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ნიჭიერი ორგანიზატორი ამ დღეებში 65 წლისა გახდებოდა.

ნაადრევად, ძალზე ნაადრევად წავიდა ბატონი სერგო ამ ქვეყნიდან. ასეთი ადამიანების ღვაწლი და ხსოვნა არასოდეს წაიშლება საქართველოს სპორტის ისტორიაში.

საქართველოს რესპუბლიკის ტანვარჯიშის ფედერაცია

„ლელოში" უკვე გამოქვეყნდა ნარკვევი ჭიდაობაში ცნობილი ქართველი მწვრთნელის ვლადიმერ მაისურაძის დაბადებიდან 70 წლისთან დაკავშირებით. ამ დღეებში ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გულთბილი შეხვედრა მოუწყო ფალავანთა თაობების აღმზრდელს.

სურათზე: იუბილარს მიესალმება პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ციმაკურიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ვიწვევთ პარტნიორებს

ვითვალისწინებთ რა მკითხველთა და სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს, გაზეთ „ლელოს" რედაქცია იწვევს პარტნიორებს ხელშეკრულებით თანამშრომლობისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი გაავრცელონ ჩვენი გაზეთი თავიანთ რაიონში თუ ქალაქში.

მოსალაპარაკებლად მოგვმართეთ „ლელოს" რედაქციაში: თბილისი, კოსტავას 14, ან დაგვირეკეთ: 99-56-14, 99-56-47.

„ლელოს" რედაქცია

იუბილე

ქართული საჭადრაკო კომპოზიცია 100 წლისაა!

ასი წლის წინათ, 1893 წელს პეტერბურგის „შახმატნი ჟურნალის" მე-3-5 გაერთიანებულ (მარტი, აპრილი და მაისი) ნომერში დაიბეჭდა ი. ტყეშელაშვილის ორსვლიანი ამოცანა, რომელმაც დასაბამი დაუდო ქართულ საჭადრაკო კომპოზიციას. ავტორმა შექმნა მინიატურა (ნაწარმოები, სადაც ფიგურების საერთო რაოდენობა შვიდს არ აღემატება), რომელიც საკომპოზიციო ხელოვნებაში ფორმის ეკონომიურობის გარკვეულ ეტალონად არის მიჩნეული. ამასთან, კარგი პირველი სვლის შემდეგ ერთ-ერთი ვარიანტი მთავრდება სანიმუშო შამათით, რომელიც კომპოზიციაში სილამაზის მნიშვნელოვანი საზომია.

ი. ტყეშელაშვილი, 1893 წ.



შამათი 2 სვლაში

ეს ნაწარმოები, რომლის ამოხსნაც ჩვენ მკითხველებს, იმედია, არ გაუჭირდებათ, გასული საუკუნის ერთადერთი ქართული ამოცანაა და პასუხობს მაშინდელი საჭადრაკო კომპოზიციის ზოგად მოთხოვნებს. XIX საუკუნის მიწურული კი კომპოზიციის ისტორიაში ის დროა, როცა ევროპის ქვეყნებში უკვე მყარ [illegible] საფუძველზე დაყრდნობით გერმანული, ინგლისური და [illegible] საამოცანო სკოლები არსებ[illegible].

ვინ არის ამ ისტორიული კომპოზიციის ავტორი?

[illegible] ხოსრომის ძე ტყეშელაშვილი (1864-1942 წ. წ.) საკმაოდ ცნობილი მოღვაწე იყო ფარმაციის დარგში. იგი დაიბადა ქუთაისში, წარმოშობით ზემომაღლაკელი გლეხის, პროფესიით დურგლის ოჯახში. ხელმოკლეობის მიუხედავად [illegible] ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ თბილისისა და ბაქოს აფთიაქებში გადიოდა სასწავლო პრაქტიკას. 1887 წელს რუსეთში გაემგზავრა სააფთიაქო ცოდნის გასაღრმავებლად. 1899 წელს მოსკოვში [illegible] დაიცვა დისერტაცია ფარმაციის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. რევოლუციის შემდგომი პერიოდი მან საქართველოში გაატარა. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სიცოცხლის ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიას.

ი. ტყეშელაშვილი მრავალმხრივ ნიჭიერი პიროვნება იყო. იზიდავდა მხარეთმცოდნეობა, ფოტოგრაფია, გამომგონებლობა. მოგზაურობდა საქართველოს ნაკლებშესწავლილ მხარეებში. გამოცემული აქვს სვანეთის, საქართველოს სამხედრო გზის საინტერესო აღწერები. იკვლევდა ფოტოგრაფიული ქიმიის საკითხებს. მისი ერთ-ერთი სტატია დაიბეჭდა ლონდონის ფოტოგრაფიულ ჟურნალში. მიღებული ჰქონდა პატენტები, ვინაიდან შექმნა საკუთარი კონსტრუქციის სტერილიზატორი, თავისებური შპრიცი, შეიმუშავა წამლების მომზადების მეთოდები.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რამდენად ძლიერი იყო ი. ტყეშელაშვილის გატაცება კომპოზიციით, რადგან მისი მხოლოდ ერთი ამოცანაა ცნობილი. ის კი უდავოა — ისეთი მრავალმხრივი ინტერესების მქონე ნიჭიერ ადამიანს, როგორიც ი. ტყეშელაშვილი იყო, ადვილი შესაძლებელია, თავისი ძალები ეცადა ამოცანის შედგენაში. ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების რუსეთში ინტერესი ჭადრაკისადმი საგრძნობლად გაიზარდა მ. ჩიგორინის წარმატებების გამო და კომპოზიციასაც ფართო პრესა ჰქონდა.

ცხადია, პირველ მერცხალს ჩვენში საკომპოზიციო გაზაფხულის მოყვანა საკმაოდ შეუგვიანდა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. კომპოზიციით გატაცების პირველი ტალღა გაჩნდა ამ საუკუნის 20-30-იან წლებში, როცა ჭადრაკის განვითარებას საქართველოში მასობრიობის ნიშნები დაეტყო და იგი პრესის ფურცლების სასურველი სტუმარი გახდა. იმდროინდელ პრობლემისტებს შორის გამორჩეული ფიგურა იყო ა. დობორჯგინიძე, რომლის საკონკურსო წარმატებებმა რუსეთის და უცხოეთის ასპარეზზე და შემოქმედების მაღალპროფესიულმა დონემ ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული საამოცანო კომპოზიციის შექმნაში.

40-50-იან წლებში ჩამოყალიბებას იწყებს საჭადრაკო კომპოზიტორთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეტიუდისტი გ. ნადარეიშვილი — დიდი შემოქმედებითი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. მისმა ძალისხმევამ, სპორტულ-შემოქმედებითმა გამარჯვებებმა და ლიდერის თვისებებმა საძირკველი ჩაუყარა სამამულო საჭადრაკო კულტურის ერთ-ერთი ფენომენის — ქართული საეტიუდო სკოლის შექმნას. დღეს საქართველო საეტიუდო ხელოვნების ერთ-ერთი აღიარებული ცენტრია მსოფლიოში.

საუკუნის მანძილზე ქართულმა კომპოზიციამ აღმავლობის გზით იარა და თავისი გამორჩეული ადგილი დაიკავა ჭადრაკის ამ დარგის ისტორიაში. საერთაშორისო დიდოსტატები: გ. ნადარეიშვილი, ი. კრიხელი, დ. გურგენიძე, საერთაშორისო ოსტატები: ვ. კალანდაძე, ვ. ნეიძე და კიდევ ორ ათეულზე მეტი მაღალი კლასის პრობლემისტი და ეტიუდისტი: რ. თავარიანი, ო. ტაბიძე, ი. შოსტი, ვ. სავჩენკო, შ. სუხიტაშვილი, ჯ. მახათაძე, რ. დადუნაშვილი, რ. მინდაძე, გ. მოსიაშვილი, ი. აკობია, ე. კვეზერელი, მ. გოგბერაშვილი, ვ. სერედა, ნ. ფანჯაკიძე, ვ. დადიანიძე, გ. კაკაბაძე, შ. დასნი, ი. მანცი, ე. პუმპურიძე, რ. მარცვალაშვილი, რ. და შ. წურწუმიები — აი, ის არასრული სია ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო კომპოზიტორებისა, რომელთა ნაწარმოებებიც ქმნიან ჩვენი ხელოვნების საამაყო ფონდს, ხოლო მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი შესულია სხვადასხვა წლებში გამოცემულ „ფიდეს ალბომებში".

საიუბილეო თარიღის წინ, შარშან, რესპუბლიკის საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულებმა სასიამოვნო საჩუქარი მიიღეს, რაც პრესაში არ ასახულა — გორელი პრობლემისტების და ამ დარგის მესვეურების (ვ. დადიანიძე, შ. სუხიტაშვილი, რ. მაღლაკელიძე) თაოსნობით გამოიცა პირველი ქართული საკომპოზიციო ჟურნალი (16-გვერდიანი) „შამათი", რომელიც, იმედია, დიდად შეუწყობს ხელს დარგის აღმავლობას. რთული საგამომცემლო ვითარების მიუხედავად, უკვე გამოვიდა 4 ნომერი, რომელთა შეძენა მსურველებს შეუძლიათ ჭადრაკის სასახლეში.

სასიხარულოა, რომ შარშან, კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის წევრად მიღების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრები წელს პირველად გამოვა ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის მსოფლიოს V გუნდურ პირველობაში. იგი გაიხსნება სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში, აგვისტოში იქვე გაიმართება კონგრესი, ჩატარდება კომპოზიციის ამომხსნელთა მსოფლიო XVII პირად-გუნდური ჩემპიონატი. ნავარაუდევია ჩვენი ამომხსნელების გამოსვლაც.

რესპუბლიკის უძლიერესი ამომხსნელების შერჩევის და ჩემპიონის გამოვლენის მიზნით საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია წლეულს, 24-25 აპრილს თბილისის ჭადრაკის **სასახლეში ატარებს საქართველოს IV პირველობას საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში.** შეჯიბრება დაიწყება 11 საათზე. პირველ დღეს მონაწილეები იასპარეზებენ ორსვლიანი, კოოპერაციული შამათების, ამოცანების და ეტიუდების ამოხსნაში. მეორე დღე დაეთმობა სამსვლიანი, მრავალსვლიანი და თვითშამათების ამოცანების ამოხსნას. ყოველ ჟანრში ამოსახსნელი იქნება 3-3 ნაწარმოები. კომპოზიციის რესპუბლიკურ კომისიას რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება აქვს დაგეგმილი. უნდა აღინიშნოს საიუბილეო კონკურსის ჩატარება ორსვლიანი ამოცანების შედგენაში (პირველი ნაწარმოები ხომ ორსვლიანი ამოცანა იყო!). ორიგინალური ნაწარმოებები ავტორებმა უნდა გამოგზავნონ ა. წ. 15 მაისამდე შემდეგი მისამართით: **380009, თბილისი, ხ. კოსტავას ქ. № 37, ჭადრაკის სასახლე.** კონვერტზე წარწერით: **„საჭადრაკო ამოცანების კონკურსი".** შეჯიბრების მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი კომპოზიციაში დ. გურგენიძე, მსაჯი-ორგანიზატორი — საერთაშორისო არბიტრი გ. გაჩეჩილაძე. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით. გათვალისწინებულია, აგრეთვე, სპეციალური პრიზი ორსვლიანი ამოცანა-მინიატურისთვის.

ვაჟა ნეიძე

თხილამურები

ლევან აბრამიშვილი და გოჩა ჭელიძე — სლალომის რაინდები

ხუდაურის თოვლიანი ტრასა ისეთი რთული იყო, რომ მისი დამთავრება 23 მონაწილიდან ნახევარმა თუ შეძლო, სპეციალურ სლალომში კი სტარტზე გამოსულ მოთხილამურეთაგან მხოლოდ მესამედმა მიაღწია ფინიშს.

საქართველოს ამ ჩემპიონატში ორჯერ იზეიმა გამარჯვება ბაკურიანელმა ლევან აბრამიშვილმა — გიგანტურ და სპეციალურ სლალომში, სუპერგიგანტის ტრასაზე კი ყველას აჯობა თბილისელმა გოჩა ჭელიძემ. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ავთანდილ ჯანგობეგოვი, ზურაბ ჯიჯიშვილი, გიორგი გავა (სამივე — ბაკურიანი) და ალექსანდრე ანთაძე (თბილისი).

აღსანიშნავია ფირმა „მარკო პოლოს" (გენერალური მენეჯერი ლევან გაჩეჩილაძე) და საწარმო „გუდაურის" (გენერალური დირექტორი ვახტანგ მიქელაძე) წვლილი, რომლებმაც რესპუბლიკის სპორტკომიტეტსა და სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციასთან ერთად იტვირთეს შეჯიბრების ჩატარება (ტრასების მომზადება, საბაგიროების შეუფერხებელი მუშაობა, ტრანსპორტი, კვება და სხვა).

„ლელოს" კორ.

„ბაკურიანობა-93"

გაზაფხულის უხვი მზის სხივები უმოწყალოდ ადნობდნენ ჯერ კიდევ აქა-იქ შემონახულ თეთრ საფარს. მაინც მოიძებნა მცირე „თოვლის ბალიშა" და ტრადიციული „ბაკურიანობა" ამჯერადაც ჩატარდა.

მოთხილამურეთა ზეიმის ორგანიზატორებს — ბაკურიანის საკრებულოს სპორტისა და ტურიზმის განყოფილებას — დიდად დაეხმარნენ ცნობილი სპორტსმენები — კობა წაქაძე, კახა ვახტანგიშვილი, ოთარ ხვედელიძე, ამირან და კოტე მიქაბერიძეები, იური ოგანეზოვი და სხვანი, რომლებმაც პირადი დანაზოგიდან საკმაო თანხა გამოყვეს საინტერესო ღონისძიებების ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ ბაკურიანის სპორტკლუბ „ია-9"-ის მიერ ადრე ჩატარებული შეჯიბრების ჩემპიონებმა და პრიზიორებმა „ბაკურიანობის" გამარჯვებულებთან ერთად სამშობლოს თავდაცვის ფონდისთვის 6.800 მანეთი შეაგროვეს.

...სათხილამურო ტრასებზე დიქტორმა უხმო ყველა მსურველს — დამწყებ მოთხილამურესა თუ სპორტის ვეტერანს, სპორტულ ოჯახებს.

ამ დღის უმცროსებში გამარჯვებები მოიპოვეს სლალომისტებმა დავით მელიქიძემ და ავთანდილ ჯანგობეგოვმა, ოლია ჯიჯიშვილმა და გიგლა მახარაშვილმა, ბელა ასლანიანმა და სტეფან აკოფოვმა, მზია მიქაბერიძემ, დიტო სოტიშვილმა და აჩიკო კოზანაშვილმა.

საინტერესო იყო ვეტერანი სპორტის ოსტატების ლიანა გოგოლაძისა და ნელი ომიაძის პაექრობა. ჩვენი პირველი სპორტის ოსტატი ქალთა თხილამურებში ლ. გოგოლაძე მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩა მეტოქეს, ასევე დაძაბულ ბრძოლაში წააგო შეჯიბრება სპორტის ოსტატ იური ოგანეზოვთან ბორჯომის რაიონის გამგებელმა ოთარ გოცირიძემ.

5-კილომეტრიან ტრასაზე სათხილამურო რბოლაში გამოდიოდა 61 წლის ნოდარ კოზანაშვილიც. მართალია გამარჯვება აქ 45 წლის ლიოვა სოგოიანს ხვდა, მაგრამ მასზე უფროსმა ვეტერანმა მაინც დაამთავრა დისტანცია.

რუსლან ბანდურამ ყველას აჯობა 25-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო ლაშა გავამ ყველა მოხიბლა ფრისტაილში ოსტატობით.

— ნეტავი მეც ვიცოდე თხილამურებით ასეთი „ფრენა", — აღმოხდა იქვე ციგაზე მჯდარ პატარა შავგვრემან გოგონას (იგი სამაჩაბლოელი ლტოლვილი ნანა პაპელიშვილი იყო), — ჩვენთანაც იცის ცხინვალში თოვლი, მაგრამ ასეთი უხვი არა. ნეტავ როდის დავბრუნდებით სახლში?!..

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს" კორ.

ბაკურიანი.

მენსელი მაინც გაფრინდა

გახსოვთ, ალბათ, რომ მსოფლიო ჩემპიონმა „ფორმულა-1-ში", ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა შეიცვალა პროფესია და ამ პოპულარული ავტორბოლიდან „ფორმულა ინდიში" გადაინაცვლა. ამ დღეებში მოვიდა ცნობა ფენიქსიდან, რომ მენსელის მანქანა „ნიუმენ-ჰაას ლოლა-ფორდი" ერთ-ერთ ვარჯიშზე დაიმსხვრა და პილოტი საავადმყოფოში მოხვდა.

ავტომობილისტის წარმომადგენელმა მაიკლ ჰაიტმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა: „ნაიჯელმა ჰოსპიტალში ერთი დღე-ღამე დაჰყო. თავს მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობდა, აწუხებდა ტკივილი ზურგის არეში და ამიტომაც ღამე არ ეძინა, ვერ პოულობდა მოსახერხებელ პოზას. ამავე დროს, ექიმები ყოველ საათში აღვიძებდნენ გამოკვლევის მიზნით".

ჰაიტის განმარტებით, მენსელს გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს „ფორმულა ინდის" მესამე ეტაპში, რომელიც ორი კვირის შემდეგ გაიმართება ლონგ ბიჩში (კალიფორნიის შტატი). ამ მიზნით მან სთხოვა გუნდის მფლობელებს კარლ ჰაასსა და პოლ ნიუმენს, ნება მისცენ უახლოეს დღეებში მიუჯდეს თავისი მანქანის საჭეს, მაგრამ უარი მიიღო. საავადმყოფოდან გამოსული მენსელი კერძო თვითმფრინავით კლიეუოტერში (ფლორიდას შტატი) გაფრინდა, სადაც მას საკუთარი სახლი აქვს.

ესეც საქმეა, ჩემპიონი რომ მეხუთეა...

მართლაც უცნაური ვითარება შეიქმნა ქალთა ჭადრაკის ზედა ფენებში: მსოფლიო ჩემპიონი სიე ჯუნი უძლიერესთა ცხრილში მხოლოდ მეხუთეა და ეს მისთვის ითვლება... უდავო მიღწევად!

დღეისთვის „რეიტინგ-ლისტის" სათავეში კვლავინდებურად 16 წლის უნგრელი იუდით პოლგარია — 2595 პუნქტი. შარშან, წლის მეორე ნახევარში მან სულ 21 პარტია ითამაშა და 20 პუნქტი შეიმატა. მოჭადრაკე ქალებს მის მიმართ სერიოზული პრეტენზიები აქვთ, რადგან იუდითი მათ შეჯიბრებებში არ გამოდის. — თუ ასეა, დაე, იგი მხოლოდ ქალთა „რეიტინგ-ლისტში" შეიტანონ — ასეთია დიდოსტატ ქალთა აზრი, რომელსაც ჯერჯერობით ფიდე არ ითვალისწინებს.

24 წლის ჟუჟა პოლგარმა დროის ამ მონაკვეთში უმცროს დაზე გაცილებით მეტი — 37 პარტია ითამაშა და წარმატებითაც. ახლა იგი 2560 პუნქტით (ჰქონდა 2540) მეორე ადგილზეა.

ჟუჟაზე მეტს თამაშობდა შვედი პია კრამლინგი (დაიბადა 1963 წლის 23 აპრილს). ზემოაღნიშნულ პერიოდში მან 49 პარტია ჩაატარა, არცთუ საზარბიელოდ გამოვიდა და კოეფიციენტი ხუთი ერთეულით გაიუარესა — 2525 ქულით მესამე ადგილზე დარჩა.

მთელი შარშანდელი წლის მანძილზე შედეგებს აუმჯობესებდა მსოფლიო ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (1961 წლის 17 იანვარი). შარშან იანვარში 2485 პუნქტი ჰქონდა, ივლისში — 2505. წლის მეორე ნახევარში 41 პარტია ითამაშა და კოეფიციენტი 2510 პუნქტამდე გაზარდა.

ის, რომ მსოფლიო ჩემპიონი ჩინელი სიე ჯუნი (1970 წლის 30 ოქტომბერი) უკანასკნელ თვეებში ბევრს თამაშობდა, უდავოდ გასათვალისწინებელი ფაქტორია. მონაწილეობდა ალიოხინის მემორიალში, თამაშობდა დასავლეთ ევროპაშიც. 42 პარტია ექვს თვეში საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ახლა ჩემპიონი ცხრილში მეხუთეა — 2470 (დაკარგა 10 პუნქტი).

ამჟამად მეექვსეა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნანა იოსელიანი (1962 წლის 12 თებერვალი). 32 პარტიით ადრინდელ კოეფიციენტს (2445) 15 პუნქტი შემატა.

ალისა გალიამოვა-ივანჩუკმა (1972 წლის 18 იანვარი), რომელიც ადრე „რეიტინგ-ლისტში" მეთოთხმეტე იყო (2400 პუნქტი), მეშვიდეზე გადაინაცვლა — 2445 პუნქტი.

ოდნავ გაიუმჯობესა კოეფიციენტი (2440, ჰქონდა 2435) ქეთევან არახამიამ (1968 წლის 19 ივლისი) და ახლა იგი მერვე ადგილზეა (ადრე VIII-X ადგილებს იყოფდა).

ცხრილში მეცხრე-მეათე ადგილებს (2420 ქულით) იყოფენ ქეთევან კახიანი (1971 წლის 11 სექტემბერი) და სვეტლანა პრუდნიკოვა (1967 წლის 18 მარტი). უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელ სიაში კახიანი 2360 ქულით მხოლოდ ოცდამეშვიდე იყო.

4 წარმომადგენელი პირველ ათეულში ქართული ჭადრაკის დიდ ძალაზე მეტყველებს.

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე საუკეთესო დიდოსტატის კოეფიციენტს: 11. ილდიკო მადლი (უნგრეთი) — 2415, 12. ირინა ლევიტინა (აშშ) — 2415, 13. ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 2415, 14. სოფია პოლგარი (უნგრეთი) — 2415, 15. ჩინ კანიუნი (ჩინეთი) — 2410, 16. ელენა ახმილოვსკაია-დონალდსონი (აშშ) — 2405.

„ლელოს" შემდეგ ნომერში ვაჟ მოჭადრაკეთა რეიტინგებს შემოგთავაზებთ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

XXV ტური, 14-15 აპრილი

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (თბილისი) 3:2 (მატჩი გაიმართა სამტრედიაში).

მსაჯები: მ. მირცხულავა, ო. გუნთაძე (ორივე — ლანჩხუთი), ა. ქიქიაშვილი (მცხეთა). გოლები: დარასელია-2, სართანია („ოდიში“), კვარაცხელია, შ. არველაძე („დინამო“).

„დილა“ (გორი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 0:1. მსაჯები: მ. ჯულაყიძე, გ. მიქელაძე (ორივე — სამტრედია), შ. თომაშვილი (მცხეთა). გოლი: გ. ჯიშკარიანი.

„ცხუმი“ (სოხუმი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:0. გოლი: ბიგვავა.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 3:0.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „გორდა“ (რუსთავი) 2:4.

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „მრეტები“ (თბილისი) 3:2.

დღეს გაიმართება XXVII ტურიდან გადმოტანილი შეხვედრა — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (თბილისი).

მსაჯები: ვის რა ნიშანი...

7 აპრილი, XXVI (გადმოტანილი) ტური:

„გორდა“ — „კოლხეთი-1913“. მ. მალაღურაძე 9,0, თ. ლორთქიფანიძე 9,0, მ. ელიკაშვილი 9,0.

„ცხუმი“ — „ოდიში“. მ. მირცხულავა 8,7, ზ. დოლიძე 8,5, თ. შირიმიანცი 8,5.

„ივერია“ — „მარგვეთი“. თ. მაჭარაძე 8,1, გ. ტაბატაძე 9,0, ე. ურუშაძე 9,0

„ალაზანი“ — „ბათუმი“. ო. გუნთაძე 9,0, ა. შილაკაძე 9,0, ს. შალამბერიძე 9,0.

„შევარდენი-1906“ — „ტორპედო“. მ. კობიაშვილი 9,2, ლ. მგელაძე 9,0, დ. გვაზავა 9,0.

„სამტრედია“ — „სამგურალი“. მ. ჭელიძე 9,0, ე. სილაგავა 9,0, დ. მენთეშაშვილი 9,0.

„დილა“ — „დინამო“ (XXIV ტური). გ. ხეჩუაშვილი 7,6, მ. ფოლადაშვილი 7,6, ი. მექერიშვილი 7,6.

10-11 აპრილი, XXIV ტური

„ცხუმი“ — „გურია“. მ. ჭელიძე 9,3, ა. ქიქიაშვილი 9,0, შ. თომაშვილი 9,0.

„მრეტები“ — „ტორპედო“. მ. მირცხულავა 7,8, ო. გუნთაძე 7,8, შ. თომაშვილი 7,8.

„დინამო“ — „კოლხეთი-1913“. თ. მაჭარაძე 9,0, მ. ჯულაყიძე 9,0, ს. კახიანი 9,0,

„კახეთი“ — „გორდა“. ა. შილაკაძე 9,0, ს. შალამბერიძე 9,0, გ. ხეჩუაშვილი 9,0.

„ოდიში“ — „ივერია“. შ. ხანიაშვილი 9,0. ზ. დარჩია 9 0, დ. მენთეშაშვილი 9,0,

„შევარდენი-1906“ — „ბათუმი“. ს. კვარაცხელია 8,7, თ. მაჭარაძე 9,3, მ. მირცხულავა 8,0.

„სამტრედია“ — „დილა“. ვ. ვარდიძე 8,4, ყ. ეჯიბია 9,0, ა. წერეთელი 9,0.

12 აპრილი, XXV ტურიდან გადმოტანილი მატჩი

„მარგვეთი“ — „ალაზანი“. ნ. კილაძე 7,5, შ. ხანიაშვილი 8,0, ზ. დარჩია 8,0.

14 აპრილს გაიმართა სფფ-ს სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომა, რომელზეც პრინციპული შეფასება მიეცა 31 მარტს ვანში მომხდარ ინციდენტს. „სულორის“ მოთამაშეს როინ კანკაძეს გვერდითი მსაჯის ნუგზარ კილაძის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის აეკრძალა სფფ-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილეობა და დაჯარიმდა 30 ათასი მანეთით. ვანელთა კიდევ ერთ მოთამაშეს გურამ არველაძეს, რომელიც გაძევებული იყო მინდვრიდან უხეში თამაშისთვის, მიეცა დისკვალიფიკაცია 3 თამაშით და დაჯარიმდა 6 ათასი მანეთით. ვანის ცენტრალური სტადიონი დისკვალიფიცირებულია 5 თამაშით და დაჯარიმებულია 50 ათასი მანეთით.

ჯემალ ლელაძე

პირველი ჯგუფი

XXI ტური, 12 აპრილი

„მეშახტე“ (ტყიბული) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1, „მერანი“ (თბილისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:3, „არმაზი“ (მცხეთა) — „სიონი“ (ბოლნისი) 2:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 4:2, „გურია-2“ (ლანჩხუთი) — „იმერეთი“ (ხონი) 3:0.

ლიდერობას ინარჩუნებს ქობულეთის „შუქურა“: 20 თამაშიდან 49 ქულა. ქულით ნაკლები აქვს ჭიათურის „მადაროელს“, 21 თამაშიდან 40 ქულა — თერჯოლის „საპოვნელას“.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 16 აპრილისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ:	ქ:
„ანცი“ (თბილისი)	19	17	0	0	79-9	58
„ჭაბუკიანი“ (ჭაბუკიანი)	20	14	1	5	66-22	43
„იმედი“ (თბილისი)	20	14	1	5	69-33	43
„შირაქი“ (დედოფლისწყარო)	18	12	2	4	51-21	38
„ნაფარეული“ (ნაფარეული)	20	11	5	4	57-27	38
„კრწანისი“ (ზოოვეტ. ინსტ.)	18	9	3	6	40-22	30
„ალგეთი“ (მარნეული)	20	8	3	9	38-46	27
„გარეჯი“ (საგარეჯო)	19	7	4	8	24-35	25
„სამგორი“ (გარდაბანი)	19	6	2	11	26-58	20
„შავნაბადა“ (თელეთი)	20	5	1	14	23-52	16
„ქიზიყი“ (წნორი)	18	5	0	13	14-41	15
„შუამთა“ (ვარდისუბანი)	18	4	1	13	19-53	13
„ფშოვი“ (სართიჭალა)	19	2	3	14	20-58	9

ცენტრალური ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ:	ქ:
„მერანი-91“ (თბილისი)	23	18	2	3	63-14	56
„ჩხერიმელა“ (ხარაგაული)	21	16	0	5	60-24	48
„ჩიხურა“ (საჩხერე)	20	15	0	5	47-25	45
„თორი“ (ბორჯომი)	21	12	6	3	42-17	42
„რკონი“ (კასპი)	18	13	2	3	35-14	41
„მეტეხი“ (თბილისი)	21	12	1	8	41-20	37
„მუხნარი“ (მუხრანი)	20	11	2	7	47-28	35
„ბაჩო“ (თბილისი)	20	8	3	9	37-37	27
„მადაროელი-2“ (ჭიათურა)	20	6	2	12	35-49	20
„მესხეთი“ (ახალციხე)	18	6	2	10	32-52	20
„სამცხე“ (აწყური)	19	5	3	11	26-43	18
„ზარზმა“ (ადიგენი)	22	5	2	15	37-65	17
„ცინვალი“ (ცინვალი)	17	4	2	11	25-45	14

პირველი. მინიფეხბურთში

ვნებები ნახევარფინალისთვის

ორი — XII და XIII ტურიც და გაირკვევა საქართველოს მინიფეხბურთელთა პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ის ოთხი გუნდი, რომლებიც ტურნირის ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. ჯერჯერობით დაწინაურებულთა შორის არიან „ვესტა“, „ერქვანი“, „ორნატი“ და „ვაკე“. მათ დავაში შეიძლება ჩაერიონ „იმედი“ და „ქორები“.

X ტური. „ლაბირინთი“ — „თუთარჩელა“ 0:3, „ძლევაი“ — „ხომლი-90“ 9:6, „იბერია“ — „მენედა“ 5:7, „ვაკე“ — „გავაზი“ 3:3, „მერიდიანი“ — „ერქვანი“ 1:11, „ორნატი“ — „იმედი“ 4:4, „ვესტა“ — „ქორები“ 9:5.

XI. „ვაკე“ — „ძლევაი“ 7:3, „ორნატი“ — „გავაზი“ 7:3, „მერიდიანი“ — „მენედა“ 7:6, „ლაბირინთი“ — „იბერია“ 6:7, „ქორები“ — „ხომლი-90“ 6:1, „ვესტა“ — „ერქვანი“ 2:1.

ჩემპიონატს 18 ქულით ლიდერობს „ვესტა“. 16-16 ქულა აქვთ „ორნატს“ და „ვაკეს“, 15-15 — „ერქვანს,“ „იმედს“ და „ქორებს“.

ირაკლი ხუციშვილი



აღმზრდელი

...ჩადით ქუთაისში, ნახეთ როგორ მუშაობს მოზარდებთან ედუარდ შავგულიძე და მისგან ბევრს ისწავლით — ამბობს რამაზ შენგელია.

ედუარდი „ტორპედოში“ მისი თამაშის დროიდან ახსოვთ ფეხბურთის გულშემატკივრებს. მერე მწვრთნელობას მიჰყო ხელი, შრომობდა თავდადებით, პედაგოგიურმა ალღომ და მაღალმა პროფესიონალიზმმა წარმატება მალე მოუტანა. მის ქურაში გამობრძმედილთაგან შეგვიძლია დავასახელოთ კახაბერ წიჟწივაძე, ზურაბ იონაძე, დავით ჯანაშია, გოჩა ჩიხლაძე, გელა ლურსმანაშვილი, ბეგლარ შავგულიძე, რომლებიც დღეს წამყვან მოთამაშეებად ითვლებიან ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე უმაღლესი ჯგუფის გუნდებში. აღარაფერს ვამბობთ პირველი და მეორე ჯგუფების გუნდებზე, იქ ხომ ამაგდარი მწვრთნელის ყოფილი შეგირდების ნამდვილი „ცვენაა“.

ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი თავკაცი რამაზ შენგელია ამას წინათ გაეცნო ქუთაისში ე. შავგულიძის საქმიანობას. ეს ცნობილი ფეხბურთელი და სპეციალისტი მწვრთნელებს ურჩევს: „ჩადით ქუთაისში, ნახეთ როგორ მუშაობს მოზარდებთან ედუარდ შავგულიძე და მისგან ბევრს ისწავლით“.

დღეს 43 წლის ედუარდ შავგულიძე 16-18-წლიანთა „ტორპედოს“ წვრთნის. ეს გუნდი ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამოდის. სწორედ აქედან ელის დღეს უფროსი „ტორპედო“ ახალ შევსებას.

ჯემალ ჩიკაშვილი,
„ლელოს“ საფეხბურთო მიმომხილველი.

სურათზე: ედუარდ შავგულიძე

ზეელერისა და მიულერის მემკვიდრე

ბევრს დღესაც კარგად ახსოვს განთქმული გერმანელი სნაიპერი უვე ზეელერი. მისი სპორტული კარიერის მიწურულს დაწინაურდა კიდევ უფრო შედეგიანი ფორვარდი გერდ მიულერი, რომელსაც თვით პელეც დიდად აფასებდა. გერმანელი ექსპერტები ახლა რუდი ფიოლერს მიიჩნევენ ზეელერისა და მიულერის მემკვიდრედ — მას ხომ „არაფრიდან“ შეუძლია გოლის შექმნა!

რ. ფიოლერი (დაიბადა 1960 წლის 13 აპრილს), თავიდანვე გოლის საოცარი ალღოთი გამოირჩეოდა. თამაში დაიწყო ნაკლებად ცნობილ კლუბ „ტსვ ჰანაუში“, ე. წ. რეგიონალ-ლიგაში, ჭაბუკთა შეჯიბრებებში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ შეხვედრაში 10 გოლიც კი გაუტანია! საინტერესოა, რომ „ჰანაუში“ მას წვრთნიდა მამა, რომელიც ადრე პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, შემდეგ კი სათანადო კურსები დაამთავრა და მწვრთნელის ლიცენზია მიიღო. იგი ცდილობდა შვილი კარგ ოსტატად აღეზარდა, დიდ დროს ანდომებდა მის ფიზიკურ მომზადებას. რუდი ფეხბურთთან ერთად ჩოგბურთსა და ფრენბურთსაც რიგიანად თამაშობდა.

პირველ პროფესიულ კონტრაქტს ფიოლერმა ოფენბახის „კიკერსთან“ მოაწერა ხელი. ძნელად ეგუებოდა ბუნდესლიგის მკაცრ პირობებს, სძაგდა უხეშობა და საერთოდ, არ სჯეროდა, რომ ასეთ დონეზე შეძლებდა თამაშს. აქედან 1980 წელს „მიუნხენ 1860“-ში გადავიდა, არც აქ გამოუვიდა რამე, ისე კი, დიდ და ხმაურიან მიუნხენში ცხოვრება ძალიან მოსწონდა. „ორი კერპი მყავდა იმ ხანებში — ვილი ბრანდტი და ალ პაჩინო“. ბავარიის დედაქალაქი კი მოსწონდა, მაგრამ ვინ დაეძებდა — „მიუნხენ 1860“-მა იგი მალე გაათავისუფლა. რუდი ბრემენის „ვერდერში“ გადავიდა და აღმოჩნდა, რომ, თურმე, მისი კარიერა მხოლოდ ახლა იწყებოდა!

ოტო რეჰაგელი, რომელიც კარგა ხანია „ვერდერს“ უდგას სათავეში, საყოველთაო აღიარებით, პირველხარისხოვანი სპეციალისტია. იგი დაუახლოვდა ჭაბუკ ფიოლერს, დაუბრუნა საკუთარი ძალის რწმენა და აი, რუდიმ დაიწყო გოლების გატანა, რასაც ვერც ოფენბახში ახერხებდა და ვერც მიუნხენში, ერთი სიტყვით, „გაიხსნა ბავშვობა“. „კიკერსი“ და „მიუნხენ 1860“ დარწმუნდნენ, რომ მწარედ მოტყუვდნენ, თურმე ნამდვილი სნაიპერი ყოლიათ და ვერ გამოიყენეს იგი. 1983 წელს ფიოლერმა ბუნდესლიგაში 23 გოლი გაიტანა!

1984 წლიდან ფიოლერის თამაშით დაინტერესდა თვით იტალიის „მილანი“. „ვერდერი“ კატეგორიული წინააღმდეგი იყო, არ უნდოდა ასეთი სნაიპერის გამოთხოვება. დავა და ვაჭრობა 1987 წლამდე გაგრძელდა, როცა „მილანის“ მიერ შეთავაზებულ თანხას „რომამ“ ცოტაც წაუმატა და რუდი იტალიაში გადავიდა. ბუნდესლიგაში მან 140 მატჩი ითამაშა და 84 გოლი გაიტანა.

● **რით განსხვავდება გერმანიისა და იტალიის ფეხბურთელთა მომზადების საქმე?** — ჰკითხეს იმ წელს იტალიელმა ჟურნალისტებმა.

— „ვერდერში“ დღეში ერთხელ ვვარჯიშობდით სულ ორ საათს. „რომაში“ სხვა ვითარებაა, დილიდან საღამომდე ვვარჯიშობთ, დასაწყისში მეგონა კიდეც, რომ ვერაფრით გავუძლებდი.

● **იტალიაში მოთამაშე უცხოელთა უძლიერეს სამეულს ხომ ვერ შეადგენდით?**

— რატომაც არა: რაში, გულიტი, ვან ბასტენი.

● **მწვრთნელებზე რას იტყვით?**

— მე ყოველთვის დიდი მადლობელი ვიყავი ოტო რეჰაგელისა, რომელიც ბრემენში მავარჯიშებდა. რაც შეეხება „რომას“ მწვრთნელს ვიდნილს ლიდჰოლმს, მას თავისებური მიდგომა აქვს მოთამაშეებისადმი და ახერხებს კიდეც გამოამჟღავნებინოს მათ მაქსიმუმი.

ფიოლერმა ეროვნულ ნაკრებში პირველად 1982 წლის 17 დეკემბერს ითამაშა (0:1 ბელფასტში ჩრ. ირლანდიელებთან) და მას შემდეგ სისტემატურად გამოდიოდა მის შემადგენლობაში, თუმცა ხშირად აწუხებდა ტრავმები. უეფა-ის 1983 წლის № 1 ფეხბურთელი სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელიცაა. 1986 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 6 მატჩში 3 გოლი გაიტანა. ევროპის 1988 წლის პირველობაზე ბეკენბაუერი ერთხანს უკმაყოფილო იყო მისით, მაგრამ ფიოლერმა ესპანელებთან საუცხოოდ ითამაშა და ორი ბურთიც გაიტანა.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ფიოლერმა მთლიანად გაამართლა პირველხარისხოვანი სნაიპერის რეპუტაცია. ჯერ იყო და, ქვეჯგუფის სამ შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა, შემდეგ დაშავდა, მაგრამ ნახევარფინალსა და ფინალურ მატჩებში კვლავ მთელი ძალით ამოქმედდა და გუნდის ტრიუმფში თავისი წვლილი შეიტანა.

ხომ ესოდენ ძლიერად ითვლება გერმანული ფეხბურთი, მაგრამ აქაც იგრძნობა მაღალი კლასის ფორვარდების ნაკლებობა. ნაკრებში წლიდან წლამდე სულ სამი თავდამსხმელი გამოდიოდა: ფიოლერი, კლინსმანი და რიდლე, დანარჩენები ვერ უძლებდნენ სიმძიმეს და ნაკრებშიც ხანმოკლე სტუმრები იყვნენ. ვეტერანი ფიოლერი კი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებშიც გამოდიოდა სისტემატურად. როცა გუნდი შვეიცარიაში ჩავიდა, მას ნაკრებში უკვე 83 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული — არც ისე შორს იყო „ასიანთა კლუბი“, მაგრამ რუდის ამჯერად ბედმა უმუხთლა, [illegible] ნაკრებთან შეხვედრაში ხელი მოიტეხა, საჭირო გახდა ხანგრძლივი მკურნალობა.

შარშან ფიოლერმა თავი ხანდაზმულად ჩათვალა, ნაკრებსაც გამოეთხოვა და აღარც იტალიაში დარჩენა ისურვა. მაგრამ, როგორც მარსელის „ოლიმპიკში“ მისი ახლანდელი თამაშით ვრწმუნდებით, იგი ჯერ კიდევ პირველხარისხოვანი ბომბარდირია.

გიგი ხაჩაპელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატი

შესარჩევი შეხვედრები

ევროპის ზონა

I ჯგუფი. იტალიელმა ფეხბურთელებმა უმასპინძლეს ესტონეთის ნაკრებს და მოკრძალებული ანგარიშით გაიმარჯვეს — 2:0. პირველი ბურთი 22-ე წუთზე გაიტანა რ. ბაჯომ, მეორე, როცა მატჩის დამთავრებას სამიოდე წუთი აკლდა, სიგნორიმ.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ,	ქ,
იტალია	6	4	2	0	15-5	10
შვეიცარია	5	3	2	0	15-4	8
შოტლანდია	4	1	2	1	4-3	4
პორტუგალია	4	1	2	1	3-4	4
ესტონეთი	3	0	1	2	0-8	1
მალტა	6	0	1	5	2-15	1

III ჯგუფი

ლიტვა — ალბანეთი 3:1

დანია — ლატვია 2:0

ესპანეთი	7	3	3	1	13-1	9
დანია	6	3	3	0	4-0	9
ირლანდია	5	3	2	0	9-0	8
ლიტვა	7	2	3	2	8-11	7
ჩრ. ირლანდია	6	2	2	2	7-7	6
ლატვია	8	0	4	4	3-15	4
ალბანეთი	7	1	1	5	4-16	3

IV ჯგუფი. რუმინელებმა შინ კვიპროსელებთან მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს გამარჯვება — 2:1, ამასთან, 21-ე წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები (სოტირიუ). მასპინძლები იხსნა დუმიტრესკუმ, რომელმაც 35-ე და 55-ე წუთებზე ორი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

ბელგია	7	6	0	1	12-3	12
რუმინეთი	6	4	1	1	19-5	9
უელსი	5	3	0	2	10-7	6
ჩეხეთ-სლოვაკ.	4	1	2	1	7-4	4
კვიპროსი	7	1	1	5	4-11	3
ფარ. კუნძ.	5	0	0	5	0-22	0

V ჯგუფი. ლუქსემბურგი-რუსეთი 0:4. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს კირიაკოვმა (12,46), შალიმოვმა (57) და კულკოვმა (90).

საბერძნეთი	5	4	1	0	5-0	9
რუსეთი	3	3	0	0	7-0	6
უნგრეთი	4	1	1	2	4-3	3
ისლანდია	4	1	0	3	2-4	2
ლუქსემბურგი	4	0	0	4	0-11	0

VI ჯგუფი. ავსტრია-ბულგარეთი 3:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს პფაიფენბერგერმა (11), კუბაუერმა (25) და პოლსტერმა (89), სტუმართაგან — ივანოვმა (53).

ჩრ. და ცენტრ. ამერიკისა და კარიბის ზღვის ზონა

აქაურ ფინალურ ჯგუფში გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები. მექსიკელებმა დაამარცხეს ჰონდურასელები — 3:0, კანადელებმა — სალვადორელები — 2:0.

კანადა	2	1	1	0	4-2	3
მექსიკა	2	1	0	1	4-2	2
სალვადორი	2	1	0	1	2-3	2
ჰონდურასი	2	0	1	1	2-5	1

აზიის ზონა

იაპონია-ტაილანდი 1:0, არაბთა გაერთიანებული საემიროები — შრი-ლანკა 4:0.

ითამაშეთ ოლიმპიური ლატარია და თუ ვერ მოიგებთ, წაგებული არ დარჩებით!

ოლიმპიური ლატარიის ტირაჟში თამაშდება ხუთი მთავარი ფულადი მოგება ერთიდან ათ მილიონ მანეთამდე!

გათამაშებას პირდაპირი ეთერით გადასცემს საქართველოს ტელევიზია.

თქვენ გაქვთ შანსი, მოიგოთ:

10 000 000 მანეთი!
ან 5 000 000 მანეთი!
ან 3 000 000 მანეთი!
ან 2 000 000 მანეთი!
ან 1 000 000 მანეთი!

მაგრამ ხომ ხდება ყველაზე უფრო გულდასაწყვეტი რამ: თქვენი ბილეთის ნომერი სულ ერთი ციფრით ასცდა მოგებიან ნომერს. გულს ნუ გაიტეხთ — ლატარიის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ნებისმიერი ერთი ციფრის აცდენის შემთხვევაში სანუგეშო მოგებები გასცენ მოსაგები თანხის ერთი პროცენტის ოდენობით; ხოლო 10 მილიონის ერთი პროცენტი 100 000 მანეთია! არც მილიონის ერთი პროცენტია ცოტა — 10 000! ოლიმპიური ლატარიის ბილეთის ფასი კი სულ 1000 მანეთია.

გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. ვინც შეიძენს და ზუსტად დაიცავს ბილეთის სწორად შევსებისა და ჩაბარების პირობებს.

ლატარიის ბილეთის „ა“ ნაწილზე ბილეთის მფლობელმა გარკვევით უნდა ჩაწეროს თავისი გვარი, სახელი და მამის სახელი, აგრეთვე პასპორტის სერია და ნომერი. ბილეთის ეს ნაწილი უნდა ჩაბარდეს იმ საფოსტო განყოფილებას, სადაც შეძენილია იგი, ხოლო „ბ“ ნაწილი რჩება მყიდველს ტირაჟის შესამოწმებლად და მოგების მისაღებ საბუთად მოგების შემთხვევაში.

ბილეთის ყიდვისა და მოგების გაცემის დროს აუცილებელია პასპორტის წარდგენა.

ბილეთები გაიყიდება მხოლოდ საქალაქო და რაიონულ ცენტრალურ საფოსტო განყოფილებებში.

ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია.

იჩქარეთ!

ოლიმპიური ლატარიის გათამაშებამდე მცირე დრო დარჩა!

პირველი ტირაჟის გათამაშება პირდაპირი სატელევიზიო ეთერით გადაიცემა 1993 წლის 16 მაისს.

თქვენ გაქვთ შანსი, გახდეთ მილიონერი!

ალბათ გახსოვთ ის ანეკდოტი, მავანი ღმერთს რომ ევედრებოდა ყოველ დილა-საღამოს, ღმერთო, მილიონი მომაგებინე, ღმერთო, მილიონი მომაგებინეო! ისიც გემახსოვრებათ, ბოლოს გაბეზრებულმა ღმერთმა მთხოვნელს რომ ჩამოსძახა, შე კაი კაცო, მომაგებინე-მომაგებინეს რომ გაიძახი, ერთი ლატარიის ბილეთი მაინც იყიდეო!

აბა, მეტი რაღა გითხრათ?!

დანარჩენი თქვენ თავად უწყით.

მოგების შანსი თქვენსავე ხელთაა!

ბილეთების შეძენა შეიძლება გადარიცხვითაც. მისამართი, თბილისი, დ. აღმაშენებლის 65. ტელ: 95-26-87.

გახსენება

ზურა ნოზაძე

ჩვენო უსაყვარლესო ძმაო! სევდით და ტკივილით აღსავსე მეექვსე თვე ილევა, რაც ჩვენგან წახვედი. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შენი სიკვდილით დაჭრილი ჩვენი გულები აღარასოდეს გამთელდება.

ძნელია, ძალზე ძნელია, ზურა, შენზე წარსულ დროში ლაპარაკი. ყოველთვის ჩვენგან გამორჩეული იყავი, მუდამ ჩვენზე მაღლა იდექი ვაჟკაცობით, ძმური სიყვარულით, ერთგულებით...

პირველობა გიყვარდა ძმობაშიც, კაცობაშიც, სპორტშიც, მაგრამ ვაი, რომ ჩვენი საძმოდან პირველი შენ წახვედი. ჯერაც ვერ გამოვრკვეულვართ, ვერ დაგვიჯერებია, რომ ერთად აღარა ვართ, მუდამ ღიმილიანი ნუთუ მართლა აღარ გამოჩნდები საყვარელ უბანში, სადაც ბავშვობა გაგვიტარებია....

გიყვარდა ყველა, გიხაროდა სიცოცხლე, ყველაფერი კარგი გიყვარდა. არასოდეს გიფიქრია სიკვდილზე. მაგრამ ულმობელმა ბედისწერამ წაგვართვა შენი თავი. ვაი, რომ განსაცდელის ჟამს ჩვენი საძმოდან არავინ იყო შენს გვერდით.

მხოლოდ ცხრამეტი წელიწადი ვიყავით ერთად, წახვედი აუხდენელი ოცნებებით, დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე ჩვენთვის უმძიმესი სატარებელი იქნება.

ნუგეში? არ არსებობს ასეთი რამ, არსებობს მხოლოდ ტკბილი და ბედნიერი წლები, რომელიც ერთად გაგვიტარებია, საყვარელო ძმაო.

ვერა, ვერასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო ზურა!

შენი საძმო

აგასი და მისი გუნდი

არსებობს მოსაზრება, რომ ანდრე აგასი ჩოგბურთელად არის დაბადებული. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მისი კარიერა არ არის მხოლოდ და მხოლოდ ბედისწერის მადლი. ანდრე აგასი, როგორც სპორტსმენი და ჩოგბურთელი, „შექმნა“ მამამისმა — ემანუელ აგასიმ, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა შვილი სუპერჩოგბურთელი გამხდარიყო.

● **ამბობენ, თქვენი გვარი წარმოშობით სომხეთიდან არისო?**

— ამბობენ. იმასაც ამბობენ, რომ ჩვენ ჯერ ირანში ვცხოვრობდით, მერე კი რელიგიური დევნის გამო მამაჩემი ოჯახითურთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიქცა.

● **რაიმე კავშირი თუ ჰქონდა მამათქვენს სპორტთან ან, კონკრეტულად, ჩოგბურთთან?**

— ირანში იგი კრივით ყოფილა გატაცებული. ითვლებოდა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივედ. მონაწილეობა აქვს მიღებული ორ ოლიმპიურ თამაშში.

● **რატომ ვერ „გაიმეტა“ თქვენთვის კრივი და რატომ დაგაწყებინათ ჩოგბურთის თამაში?**

— ჩვენ თავდაპირველად ჩიკაგოში ვცხოვრობდით, მერე ლას-ვეგასში. მამაჩემი საათობით ადევნებდა თვალს ჩოგბურთელთა მატჩების ტელეტრანსლაციას და გაოცებული იყო სპორტსმენთა მაღალი ჰონორარებით. ჩოგბურთი ეკონომიკური მოსაზრებით აირჩია, უნდოდა ვაჟიშვილი და მასთან ერთად მთელი ოჯახი უზრუნველი, ძლიერი ყოფილიყო. თუმცა მნიშვნელობა ჰქონდა ალბათ იმასაც, რომ ჩემი და რიტა გათხოვილი იყო ლეგენდარულ ჩოგბურთელზე პანჩო გონსალესზე. ასე რომ, ვფიქრობ, ჩემი ბედი დაბადებამდე იყო გადაწყვეტილი.

● **ვისთან დაიწყეთ ჩოგბურთის თამაში?**

— ჩემი პირველი მწვრთნელი იყო... მამაჩემი. ოჯახურ კორტზე მან დააყენა ბურთების მომწოდებელი ავტომატი, გადააკეთა მისი სისწრაფე საათში 90-იდან 120-კილომეტრამდე, შეიძინა ბურთები და დავიწყე საშინლად მომქანცველი და უინტერესო ვარჯიშები.

● **თქვენ ამ დროს ალბათ კოლეჯში სწავლობდით?**

— არა, მე თავიდანვე გამამწესეს ნიკი ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში, სადაც ყაზარმული წესები იყო და უზნეო გამოხდომებისთვის სასტიკად ვისჯებოდი: ვრეცხავდი ჭურჭელსა და იატაკს, მართმევდნენ დასვენების საათებს, უარს მეუბნებოდნენ საერთო ზეიმებში მონაწილეობაზე...

● **როგორ მოხდა თქვენი გამოსწორება?**

— დავმეგობრდი ერთ ყმაწვილთან, რომელმაც მიმიყვანა ბიბლიის შემსწავლელთა წრეში. ნელ-ნელა ჩემმა სულმა იგრძნო შვება. განვთავისუფლდი ყველა ამქვეყნიური ცოდვისგან, პირველ რიგში კი ვისკისა და ნარკოტიკებისგან. დავიწყე ახლებური ცხოვრება, რომელიც ძველზე გაცილებით უკეთესი გამოდგა.

● **როდის შედგა თქვენი პროფესიული დებიუტი?**

— 1986 წლის 1 მაისს. ეს იყო ამერიკული ჩოგბურთისთვის ერთგვარად კრიზისული პერიოდი. მაკინროუ და კონორსი თმობდნენ პოზიციებს ასაკის გამო, მე, ჩანგი და სამპრასი კი ძალზე ახალგაზრდები ვიყავით.

● **პირველი წარმატების შესახებ რას იტყვით?**

— 1987 წლის ოქტომბერში „გრან-პრის“ პირველი ტურნირი მოვიგე. ეს იყო ენით აუწერელი სიხარული იმის გამო, რომ ფეხი შევდგი საერთაშორისო ჩოგბურთის ელიტაში და იმის გამოც, რომ პირველი დიდი ჰონორარი მივიღე. ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე ადგილი დავიკავე და პრემიების სახით პირველ მილიონ დოლარს გადავაბიჯე.

● **ჯონ მაკინროუსა არ იყოს, თქვენც სკანდალისტ ჩოგბურთელად ითვლებით. რა არის ამის მიზეზი?**

— შესაძლოა ნერვები, შესაძლოა ის, რომ ყველაფერზე ჩემი, განსხვავებული შეხედულება მაქვს. მე რომ ვამტვრევ ჩოგანს, მსაჯებს არ მოსწონთ, მაგრამ რა მათი საქმეა? ბოლოს და ბოლოს, ვზარალდები მე და არა ისინი. სამაგიეროდ, მაყურებელთაგან ყოველთვის თანადგომას ვგრძნობ, გოგოებს კი ძალიან ვუყვარვარ. ისინი დადიან ტურნირებზე პლაკატებით: „ანდრე, ჩვენ შენ გვიყვარხარ!“ მე ეს უფრო მომწონს, ვიდრე მსაჯების გაბერილი და იდიოტური სახეები.

● **ვინ არის თქვენი სპონსორი?**

— ვატარებ „ნაიკის“ მაისურებს და შორტებს, „ებალის“ საათს, ვხმარობ ბელგიურ ჩოგანს „დოპეის“: სპონსორი ბევრი მყავს...

● **თქვენი ოჯახი ამჟამადაც ლას-ვეგასში ცხოვრობს?**

— დიახ, ლას-ვეგასში. არც ისე დიდი ხნის წინ ახალ ბინაში გადავედი. იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობს.

● **რა გიყვართ ქვეყანაზე ყველაზე მეტად?**

— მანქანების კოლექციონერობა.

● **რამდენი მანქანა გყავთ?**

— თოთხმეტი მყავდა, ახლა შევიძინე მეთხუთმეტე — „ვექტორის“ მარკის. გადავიხადე ნახევარი მილიონი. საათში 240 მილს ანვითარებს.

● **რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?**

— ოცდაათ წლამდე ჩოგბურთს თავს არ დავანებებ. მერე კი... მერე ვნახოთ.

● **მამათქვენი კვლავინდებურად ხელმძღვანელობს თქვენს საჩოგბურთო ცხოვრებას?**

— ემანუელ აგასიმ ინფარქტის შემდეგ საოჯახო კლანის საქმეები ჩემს უფროს ძმას ფილს გადასცა.

● **ამბობენ, შეჯიბრებაზე თქვენ დიდი გუნდი დაგყვებათ. ვინ არიან მის შემადგენლობაში?**

— პირველ ყოვლისა, ნიკ ბოლეტიერი, პირადი მცველი — გილი, რომელიც აღმოსავლური ორთაბრძოლების დიდ სპეციალისტად ითვლება, მწვრთნელი და სპარინგ-პარტნიორი ნიკ ტრილი, ძველი მეგობარი და იურისკონსულტი, პერი როჯერსი, კომერციული აგენტი და პრეს-მდივანი ბილ შელტონი...

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაუგრძნობს ჯურაბ ლორთქიფანიძეს ვაჟის გიორგის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მკითხველი — გაზეთი

მაინტერესებს, როგორ იმოქმედა რაგბის გარეგნულ იერსა და მოთამაშეთა შედეგიანობაზე ახალი წესების შემოღებამ.

ბადრი მაცაბერიძე,
თბილისი.

გაჭირდა ლელოს გატანა

რაგბის უცხოელ მიმომხილველთა და მსოფლიო რაგბის „მამების“ მტკიცებით, ახალი წესების შემოღებამ თამაშს ლაზათი შემატა, რაკილა პაუზები და ჭაჭგური შემცირდა, ბურთი კი მეტადაა ხილული და მეტ ხანს თამაშდება. თუკი მათ სიტყვებს ვირწმუნებთ, ახალი წესები მოსწონთ როგორც მოთამაშეებს, ასევე — მაყურებლებს.

რაც შეეხება შედეგიანობას, თუკი შარშან ზაფხულში ეკვატორს ქვემოთ გამართულ დიდ შეჯიბრებებს — „ბლედისლოუს თასს“, „რანფურლის ლანგარს“, „ქარრის თასს“, სამხრეთ აფრიკაში „ოლ ბლეკსისა“ და „ვოლაბის“ სტუმრობას გავიხსენებთ, უეჭველი იქნება შედეგიანობის ზრდა.

სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა ეკვატორს ზემოთ. ხუთი ერის პირველობის ბოლო ექვსი სეზონის მონაცემები მოტანილია ცხრილში, რომლის მეორე, მესამე და მეოთხე სვეტებში ქულათა, ლელოთა და გატანილ საჯარიმოთა ჯამური რაოდენობაა ნაჩვენები, ბოლო სვეტში კი — საჯარიმოებით მოგროვებულ ქულათა წილი.

წელი	ქ.	ლ.	ს.	%
1988	277	31	31	33,6
1989	307	33	42	41,0
1990	295	36	38	38,6
1991	363	36	50	41,3
1992	326	34	44	40,5
1993	256	20	40	46,9

როგორც ხედავთ, წელს ახალი წესების შემოღებამ შედეგიანობა ერთობ დასცა. გაჭირდა ლელოს გატანა. გატანილ საჯარიმოთა რაოდენობა არ გაზრდილა, მაგრამ თუ 1988 წელს ლელო და საჯარიმო ტოლად გაჰქონდათ, ახლა თითო ლელოზე ორი საჯარიმო მოდის, საჯარიმოებით მოგროვებული ქულების წილმა კი არნახულ სიდიდეს უწია და მეტიც იქნებოდა, ლელოს „ფასი“ ხუთ ქულამდე რომ არ გაეზარდათ. არადა, თუ ძველი „ნიხრით“ დავითვლით, წელს სულ 236 ქულა მოგროვებულა, საჯარიმოთა წვლილი კი 50,8% ყოფილა.

მაინც რა არის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროთა მონაცემების აგრერიგად განსხვავებულობის მიზეზი? უთუოდ ის, რომ ახალი წესები ეკვატორს ქვემოთაა მოგონებული და იქაურებს ისინი უკვე აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რაკილა მათს სანახაობით სათამაშო სტილს ასახავს. აი, ეკვატორს ზემოთ კი უფრო ანგარიშიანადაც თამაშობენ და მსაჯებიც ერთობ [illegible] ჰყავთ.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე